

„ლელო“

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

21 ივლისი, შაბათი, 1990 წ.
№ 136 (10305) შანი 3 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



„დილა მშვიდობისა“ — თაბაშავო!

სიახლი. დილა ამერიკელებისთვის, ჩვეულებრივ, იწყება ტელე-გადაცემით: „დილა მშვიდობისა“. გუშინ ამ გადაცემის ყველა ინფორმაცია სიეტლიდან მოსულმა ცნობებმა შეცვალა. სინოპტიკოსთა პროგნოზი კი ვაშინგტონის შტატში მოსალოდნელი აბინდის აღწერით დაიწყო. როგორც ირკვევა, კეთილი ნების თაბაშავო, ამ შტატიდან არაფერი ემუქრება.

გუშინდელი დღე სიეტლში საკმაოდ აღრე დაიწყო — 8 საათსა და 30 წუთზე დაიწყო იყო პრეს-კონფერენცია თაბაშავის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ ბობ უოლშთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

უოლშის განცხადებით სიეტლის თაბაშავი ამერიკის მოსახლეობაში დიდ ენთუზიაზმს იწვევს. ეს იქონია ჩანს, რომ თაბაშავის საშობა-დისში 12 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა, საორგანიზაციო კომიტეტის მოწოდებას კი 20 ათასამდე სიეტლელი მოქალაქე გამოეხმაურა.

გუშინ სიეტლში სხვადასხვა ქვეყნის 600-ზე მეტი სპორტსმენი იმყოფებოდა. ყოველ საათს თვითმფრინავებს მონაწილეთა ახალი ჯგუფები ჩამოჰყვავდა. გუშინდელი დღისთვის 13 მილიონი დოლარის ბილეთები იყო გაყიდული. თაბაშავის სახეობა გახსნა მოხდა „სასის“ სტადიონზე, რომელიც 72 ათას კაცს

იტევს. აქ გასასაღებელი დარჩა 5 ათასამდე ბილეთი.

ბობი უოლშის განცხადებით კომერციული შედეგები — მხოლოდ წლის ბოლოს შეჯამდება, ვინაიდან, სუვენირებით ვაჭრობა დაიწყო და მათგან შემოსული შემოსავალი გაიყვანა. თუ სტადიონებზე დარჩება გაუყიდავი ბილეთები, მათ უსასყიდლოდ დაურიგებენ ბავშვებს და დახმარებენ პერსონალს.

გახსნის დღეს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ბევრი დამატებითი სახანძრო ჩატარდა. ამ დღეს მწყობაში ჩადგება საბჭოთა კავშირ-აშშ-ის მეგობრობის ცენტრი. გახსნის სახეობა ცერემონიაში მონაწილეობას მიიღეს ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე ჯეისი ჯექსონი.

კეთილი ნების თაბაშავის თილისმა, ლომის ბოკერი „იუნაიტედი“, რომლის თარგმანი ნიშნავს: „გაგვართიანე ჩვენ“ (ზევით, მარცხნივ).

„ლელო“ სპეციალური კორესპონდენტი თაბაშავიდან გასულია
სიეტლში გამგზავრების წინ მოსკოვიდან ბალეფონით
გაბატონდნება:



გზასმარი... სისტემრო „სპორტი“

„საიდუმლოვანი“ „გაგვანდეს“

კეთილი ნების თაბაშავის დაწყებამდე რამდენიმე საათი რჩება. პირდაპირი ავიანაზით „მოსკოვი-სიეტლი“ განხორციელდება რამდენიმე ჩარტერული რეისი. ერთი რეისით, დღეს, 19 ივლისს, კეთილი ნების თაბაშავის ქალაქში გაემგზავრებიან სპორტული ჟურნალისტები. რესპუბლიკებიდან სულ მხოლოდ ხუთ გამოცემას გამოუყოფადლოდ ცენტრმა, მათ შორის ერთი — „ლელო“. მოსკოვში ჩასვლისთანავე შეეცემთ, რომ სიეტლში სულ 30 სპორტული ჟურნალისტი მიემგზავრება. თბილისში წინასწარ გამოგზავნილ დეპუტატი არ იყო მითითებული უკან დაბრუნების თარიღი, ახლა კი გამოგვიცხადეს, რომ სპორტული ჟურნალისტების ეს ნაკადი 29 ივლისს დაბრუნდება მოსკოვში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჯგუფის მერც ერთი წარმომადგენელი და ვერც ისინი, რომლებიც შემდეგ გაემგზავრებიან სიეტლში, თაბაშავს თავიდან ბოლომდე ვერ იხილავენ. პირადად მე ამ ამბავმა ძალიან შემაშფოთა, რადგან საქართველოს წარმომადგენლები, ძირითადად, სწორედ 28 ივლი-

სიდან იწყებენ ასპარეზობას. ცენტრში შესანიშნავად იცოდნენ თაბაშავის პროგრამა, მაგრამ, როგორც ჩანს, რესპუბლიკის ინტერესები არ გაითვალისწინეს. არ გვიანდა ვიფიქროთ, რომ ჟურნალისტების ასეთი განაწილება საგანგებოდ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პროტესტზე — ან მეორე ნაკადში გადაეტანათ საქართველოს წარმომადგენლის გამგზავრება, ან სიეტლში თაბაშავის ბოლომდე გაეგრძელებინათ ვიზა, ჯერჯერობით, არაფერი გვიპასუხეს.

ჩვენი მოსკოვშივე გახდა ცნობილი, რომ ჟურნალისტებიც ამერიკელთა ოჯახებში იცხოვრებენ. ირწმუნებიან, რომ პრესის მუშაკებს ასეთი მიღება ხელს არ შეუშლის მუშაობაში. ამის თაობაზე გამოთქმულ უკმაყოფილებასა და წუწუნს ერთი უმთავრესი არგუმენტი — ფინანსური გაანგარიშება უსვამს წერტილს. თურმე ჩვენი ჟურნალისტების სიეტლში დაბინავების ასეთი „მეთოდი“ ფულის გადახდელ ორგანიზაციებს (ეს, ცხადია, უკეთეს შემთხვევაში, და თვით სახელმწიფოს, თითოეულ ჟურნალისტზე 2000 მანეთზე მეტს უზოგავს.

ახლა კი რამდენიმე ინფორმაცია, რომლებიც, ვფიქრობთ, დაინტერესებს „ლელოს“ მკითხველებს.

საქართველო — უზეიცარია

სისტემრო „სპორტი“ მოსკოვში ის ადგილია, რომელსაც უცხოეთთან ურთიერთობის განსაყარის შეიძლება ეწოდოს — ჯერჯერობით აქედან მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და მერე აქვე ბრუნდებიან ქართველი სპორტსმენები.

მოგვხსენებთ, რაოდენ მაღალია ქართველ მოქალაქე ქალთა ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. ამიტომაცაა, რომ მათ სისტემატურად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში სასპარეზოდ. შევიცარის საპარადო ფედერაციის მიწვევით, საქართველოს მოქალაქე ქალთა გუნდი მთა ჩიბუტდანიის, ნანა იოსელიანისა და ქეთევან არახაიას შემადგენლობით მოსკოვიდან შევიცარიაში გაფრინდა. ჩვენი გუნდის შემად-



ჯირჯირობით დაუპარსხებლად

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ზონალურ ტურნირებში (ამ შეჯიბრებების დაწყების შესახებ უკვე გაცხადებულ) გამოიყვანენ ლიდერები. მათ შორის არიან ჩვენი გუნდებიც.

საქართველოს ფრენბურთელები ყირგიზეთის გუნდთან შეხვედრის დაწყების წინ, ცოტა არ იყოს დელადნენ, რაც აშკარად გამოჩნდა პირველ პარტიაში. მათ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, მაგრამ მაღალევი მოქრობებს ძალა და შედეგად „გამოიჩნდა“ — 15:6 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მეორე პარტია ჩვენების აშკარა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მათ ერთხანს უკარადღებდა მოადუნეს და ანგარიში საყაიბო 5:5 გახდა. მეტის გაკეთება მეტოქემ ვეღარ შეძლო და ისინი კვლავ დამარცხდნენ 6:15. მესამე პარტია სანახარბივი თვალსაზრისით უფრო საინტერესო გამოდგა, ქართველებმა ჭაბუკებმა საკმაოდ ლამაზი კომბინაციები გაითამაშეს და კვლავ გაიმარჯვეს — 15:7.

ამავე დღეს უკრაინელი ფრენბურთელები მოლდავეთის გუნდს ხვდებოდნენ. უკრაინელთა უპირატესობა აშკარა იყო, შეხვედრაც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 3:0 (15:10, 15:6, 15:10), მომდევნო ტურში კი უკრაინელებმა უზბეკების გუნდი დაამარცხეს — 3:1, (15:1, 15:2, 9:15, 15:6).

საქართველოს ნაკრები მეორე ტურში თავის უშუალო კონკურენტს, მოლდავეთის გუნდს ხვდებოდა. მატჩი საკმაოდ დამაბული გამოდგა, განსაკუთრებით, პირველი პარტია, სადაც ჩვენმა ფრენბურთელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 15:13. მეორე და მესამე პარტიებიც ქართველ სპორტსმენთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ გამარჯვებაც მათ დარჩათ 3:0 (15:13, 15:2, 15:8).

ფრენბურთელების მსგავსად, ჩვენი კალათბურთელებიც ტურნირის მეორე დღეს ჩაებნენ პაექრობაში და... მეტოქე — ზურბაიანის ნაკრები მართლაც რომ გამაზადურებელი ანგარიშით დაამარცხეს — 158:55 (80:35).

სომხეთისა და მოსკოვის ნაკრები გუნდების შეხვედრაც დინამურად დაიწყო, მაგრამ შეხვედრის ბოლოს მოსკოველებს მეტი ძალა და მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა 50:41, (22:19).

ზურბაიანელებთან „მატრონიკა-ოლი“ ანგარიშით გამარჯვების შემდეგ შეიძლება ცოტა „მოკიდალევულად“ მოგვეჩვენოს მასპინძლების მოლდაველებთან შეხვედრის ანგარიში — 115:68 (61:32), ჩვენმა კალათბურთელებმა მაყურებელს ლამაზი, ტექნიკური და გააზრებული თამაში უჩვენეს, მოსკოველებმა

კი ამ დღეს იოლად სძლიეს აზერბაიჯანელებს — 81:56 (47:25).

ამრიგად, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის თბილისის ტურნირებში, ფრენბურთელთა შორის ორი გუნდი ასპარეზობს დაუმარცხებლად — უკრაინისა და საქართველოს. კალათბურთელთა შორის მოსკოვისა და საქართველოს ნაკრებები.

გუშინ ტურნირის მონაწილეებმა დაიხვეწეს, მაგრამ სომხეთის ნაკრების წარმომადგენელთა თხოვნით, მათ შეხვედრა საქართველოს გუნდთან (რომელიც კვირას უნდა გამართულიყო) გუშინვე გამართა. ქალბურთელებმა კალათბურთელებმა კვლავ ათმაგობით ითამაშეს და გაიმარჯვეს — 100:46 (50:22).

დღეს ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა — საქართველოს ნაკრები უთანამებდა მოსკოვის გუნდს. ასპარეზობა ვერის ბალის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება. დასაწყისი 11 საათზე.

სურათებზე: მარცხნივ — საქართველოსა და მოლდავეთის კალათბურთელთა შეხვედრა; შუაში — საქართველოსა და ყირგიზეთის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობის მომენტები.

თავჯლომარი მორიბი „უინსტი“

ქნელი, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის ვიაჩესლავ კოლსოკოვის თამაშის კლასზე იმსჯელოს კაცმა, რადგან მუწანი მინდორზე მისი გამოსვლა არავის უნახავს (პოეტი უოფილა), მაგრამ საფეხბურთო საქმიანობაში თვალთმაქცობის, საოცარი „ტრიუკების“ და „ფინტების“ დიდოსტატი რომ გახლავთ, ეს აღარავის აუკვეებს. განსაკუთრებით გამორჩინა მან თავი საქართველოსთან დაკავშირებით. ალბათ გახსოვთ, როგორი „პრინციპული“ და „ლოგიკური“ თანმიმდევრობა გამოიჩინა თავმჯდომარე ჩვენი ფეხბურთის სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას.

ამ დღებში კოლსოკოვის თვითნებობისა და ცენტრის მბრძანებლობის კიდევ ერთი მაგალითის მოწმენი გავხდით. საქვე ის არის, რომ ამას წინათ სსრ კავშირის პროფკავშირების კლასიკური სტილით მოქმედებდა ნაკრებს (გუნდის შემადგენლობაში ორი ქართველი ფალგანაც იყო — გ. გედევანური და ბ. დარჩია). ამერიკულ ტურნირში დღევანდელის ხელმძღვანელად ახლდა სპორტსაზოგადოება „შევიარდენის“ თავმჯდომარის მოადგილე ოთარ კალაძე. მან

ტურნეს დღებში გარკვეული კონტაქტები დაამყარა იქაურ სპორტის მესვეურებთან, მათ შორის ყოფილ კომინიოველ სამუელ ვანდლორთან, რომელიც ახლა ამერიკის ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის ვიცე-პრეზიდენტი და სპორტულ სპონსორბასაც ეწევა. მას ოთარ კალაძემ შესთავაზა, რომ კარგი იქნებოდა საქართველოსა და ამერიკის სპორტსმენთა ამხანაგური ასპარეზობა მოწყობილიყო. ეს წინადადება ს. ვანდლორმა სიამოვნებით მიიღო, მაგრამ იქვე დასძინა რომ უკვე ჰქონია მოლაპარაკება მოლოდინის საფეხბურთო კლუბ „ნისტრუს“ პრეზიდენტ ნათან ბარტელთან კომინიოველ კაბუტ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მოწყობის თაობაზე, რომელიც მასპინძელი ფეხბურთელები საასპარეზოდ იწვევდნენ რუმინულ და ლიტველ თანატოლ სპორტსმენებს. ს. ვანდლორმა „ნისტრუს“ პრეზიდენტს მაშინვე გაუგზავნა ტელეგრაფი, სთხოვდა, რომ ტურნირში საქართველოს წარმომადგენლებიც ჩართოთ. ამის შემდეგ „შევიარდენის“ თავმჯდომარის სახელზე მოვიდა თანხმობის დეკლარაცია, რომლის ასლს და ტექსტსაც მკითხველს ვთავაზობთ.

ФУТБОЛЬНЫЙ КЛУБ НИСТРУ ПРИГЛАШАЕТ КОМАНДУ КЛУБА ИНИШЕВ 17-18 ЛЕТ ПРИНЯТЬ УЧАСТИЕ МЕЖДУНАРОДНОМ ТУРНИРЕ ПО ФУТБОЛУ С УЧАСТИЕМ КОМАНД СВА РУМЫНИИ ЛИТВЫ ПОДЛАНЬИ КОТОРЫЙ СОСТОИТСЯ 17-22 ИЮЛЯ 1990 КИШИНЕВ ЛЕСЬ ПРИЗЛА 17 ИЮЛЯ СОСТАВ ДЕЛЕГАЦИИ 25 ЧЕЛОВЕК О СВОЕМ УЧАСТИИ В ТУРНИРЕ ПОТВЕРДИТЕ ТЕЛЕГРАММОЙ ДО 12 ИЮНЯ ИНИЗД ПО ВИЗОВУ-КИШИНЕВ 277060 УЛ ВИННИШКАЯ 1 ПРЕЗИДЕНТ ФУТБОЛЬНОГО КЛУБА НИСТРУ БАРТЕЛЬА-

თბილისი 19 წერეთლის 95-ა სპორტსაზოგადოება შევიარდენი შუბლაძეს
საფეხბურთო კლუბი „ნისტრუს“ გიწვევთ კლუბის 17-18 წლის ჯაბუკების საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ, რომელიც გაიმართება 17-22 ივლისს კომინიოველ აშშ-ის, რუმინეთის, ლიტვისა და მოლდავეთის გუნდების მონაწილეობით. ჩამოხველის დღე 17 ივლისი. დღევანდელის შემადგენლობაში — 25 კაცი. ტურნირში თქვენი მონაწილეობა დაგვიდასტურეთ დეკლარაციით 12 ივლისამდე.

საფეხბურთო კლუბ „ნისტრუს“ პრეზიდენტი ბარტელელი.

ამასობაში ცენტრი, კერძოდ კი ვ. კოლსოკოვი, რომ იტყვიან, გულხელდაკრეფილი არ ყოფილა, მთელი სიჩქარით ამოქმედდა პარტიკრატის „მანქანა“ და ასეთი სახის დეკლარაცია გაუგზავნა „ნისტრუს“ პრეზიდენტს: „თუ ტურნირიდან არ გამოითმავს საქართველოსა და ლიტვის გუნდებს, ოფიციალურად მოეთხოვთ სსრ კავშირის საგარეო“

საქმეთა სამინისტროს, რომ არ მისცენ ამერიკელთა დელეგაციის ვიზები სსრ კავშირში ჩამოსასვლელად“. ამის გამო „ნისტრუს“ ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა ფარ-ხმალი დაეყარა და „შევიარდენის“ გამოუგზავნა უარის დეკლარაცია, რომლის ასლს და ტექსტსაც ავრთვე ვთავაზობთ.

თბილისი წერეთლის პროსპექტი 95-ა სპორტსაზოგადოება შევიარდენის
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კატეგორიული აკრძალვის გამო თქვენს გუნდს ვერ მივიღებთ. პატივისცემით საფეხბურთო კლუბი „ნისტრუს“ პრეზიდენტი — ბარტელელი.

ასე მოეცარათ ხელი იმ 17-18 წლის ქართველ ფეხბურთელებს, რომლებიც საგანგებოდ ემზადებოდნენ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში საბარბოლოდ და ასეთი მასშტაბის შეჯიბრებას მოწყურებულნი, უნდა ვიფიქროთ, არც თავს

შეიძრებდნენ, მაგრამ, როცა ძალა აღმართა ხნავს, რა გაეწყობა...
დასაწყისი კია, რადგან ქართული ფეხბურთის საერთაშორისო სარბიელზე გასვლის კიდევ ერთი შანსი დაიკარგა.

პოზიცია

საერთო კალისხევი



(დასასრული)

გზასხევი

1 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებულმა ბატონ რ. ბუგაიანიშვილის და ბატონ ჯ. სალიაშვილის პუბლიკაციებმა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვილმეტლიანი ვადა „შეგარდენის“ წესდების პროექტის გამოქვეყნებიდან ამ საზოგადოების ყოველმხრივ ჩატარებულ, სრულყოფილ არასაკმარისი აღმოჩნდა და აღიარებულია საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზისათვის, რომლის საფუძველზე უნდა მომზადდეს საერთო პოზიციის ჩამოყალიბება.

აღნიშნულის დამადასტურებელი გახლავთ ისიც, რომ დღემდე ვერც „ლელოს“ საშუალებით და, სამწუხაროდ, ვერც ყოველივე ვერც შევსებულ ფიქსურულ კოლექტივის საბუღალტრო აზრი, მათი დამოკიდებულება „შეგარდენის“ წესდებისადმი.

ყოველგვარად არავის უცდია რაიმე კონკრეტული, თუგინდ უმნიშვნელო შეწყობა შეეცადა წესდებებში, ზოგიერთი კი საქმის შეუსწავლად, ტენდენციური მიდგომით, ალტერნატიული წინადადებები და განსხვავებული აზრის დამახინჯებით ვაგრობენ. უნებლიედ ეძება პასუხს იმ თეზისზე, თუ რამ შეიძლება ეს — კომისიის მიერ შემუშავებული წესდების სრულყოფილად აღიარება და აღიარების მოთხოვნის დასაბუთება. გულგრილობაში მიხედავს ალბათ წესდებებზე ნაჩქარევ მუშაობასთან ერთად, შესაძლებელი რეორგანიზაციის შედეგად საქმის დაკარგვის შიშითაც.

ნიშნავდა იმის, რომ ბატონ ჯ. სალიაშვილის წერილის სათაური — „ზემოდან საქმეში ჩარევა და შეშინება“ — პირდაპირ იმაზე მიგვითითებს, რომ ავტორის აზრით (რომელსაც მე ვაზიარებ), წესდების შემუშავებულ კომისიას ვერ ფიქსურული კოლექტივის დეზუბილირება (წესდებებზე) უნდა შეეშინებოდეს.

უდავოა, რომ ფიქსურული კოლექტივი, რომელიც სპორტული საზოგადოების საპირველზე, საქართველოს იმპერიაში უნდა „დამსდეს“ სხვადასხვა ზემოდახედული სტრუქტურული ერთეულები. ამ მიმართულებით მუშაობისას უნდა გაითვალისწინონ ფიქსურული კოლექტივის აზრის პრიორიტეტი, მისი ნება-სურვილი და, თუ გვინდა, მოთხოვნა. იმავე სათაურიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ჯ. სალიაშვილი არ ეთანხმება იმ მეთოდს, რომლისათვის კომისიამ წარმოართმის მუშაობა. მსჯელობას მივყავართ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ კომისია კვლავ უნდა დაუბრუნდეს პროფესორების სპორტული მოძრაობის სტრუქტურისა და მართვის მექანიზმის შექმნის საკითხებს და აწარმოოს ის აზრთა სხვაობის გათვალისწინებით, აუცილებლად იმოქმედოს პრინციპით — „ქვემოდასწრით“, რათა ამ პრინციპის დარღვევით შექმნილი ორგანიზაცია, როგორც ყოველგვარ ბატონმა პეტრე ჩხეიძემ პრინციპი, შეიძლება მართლაც „გვერდული“ გამოვიდეს.

რ. ბუგაიანიშვილის და ჯ. სალიაშვილის მეტად საინტერესო და ყურადღასსაძიებო პუბლიკაციები „შეგარდენის“ ყოველგვარად დაბეჭდილობის, უდავოდ სასიკეთო პირობა შეიქმნებოდა ყოველგვარად სალი და საქმიანი სჯა-ბაასის გასამართლად. მართალია, ზოგიერთი საკითხის განსხვავებული აზრი მაქვს, რაც საგანგაშოდ არ მიმაჩნია, მაგრამ ძირითადად ჩვენი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

ეს პოზიცია: პრინციპული დამოკიდებულება ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის მიმართულ ქმედებით ღონისძიებების სწორი ფორმების ძიებისა და ცხოვრებაში მათი უშუალო დანერგვისადმი.

დარწმუნებული ვარ, ჯანსაღი დისკუსია, ალტერნატიული წინადადებების მოსმენის უნარი, მსჯელობის კულტურა, ოპონენტის პატივისცემა და სიღინჯე უთუოდ „მოგვიხმებენ“ საერთო შეხების წერტილებს.

მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული წერილების ავტორებთან ეს წერილი მოქმენილია, მაგრამ მინც მივცემ ჩემს თავს უფლებას, გამოვთქვა რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება.

საერთოდაა გასაფართოებელი ფიქსურული კოლექტივის უფლებები, რის შესახებაც ჩემი დამოკიდებულება ნაწილობრივ უკვე გამოვთქვი 3 მარტს გაზეთ „ახალგაზრდა ივრის“ „ლელოს“ და 20 ივნისს გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე.

ჩემი პოზიცია დღემდე ურყევა აღნიშნულ პუბლიკაციებში დასმული საკითხობრივ საკითხების საფუძვლიანი გადაჭრისა და მათი დროული მოგვარების აქტუალურობასა და აუცილებლობაზე. სასიკეთოდ ძველებს მოგვიტანს არა ფიქსურული კოლექტივის დამოუკიდებლობა, არამედ მისი მოვალეობა-ფუნქციები სწორი განსაზღვრა, მისი უფლებების საგანგებო გაფართოება. სრული თავისუფლება, რასაც ავტორები ვითავაზობენ, ფიქსურულ მოძრაობას ქაოსის საშიშროების წინაშე დააყენებს, ხელსაყრელ პირობას შექმნის უკონტროლოდ და მკვიდრებას, დასცემს ისედაც დაბალ პროფესიულ დონეს. ამ უარყოფითი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გადმოვიდეთ „შეგარდენის“ მეთოდური კანონების საქმიანობა, მოინახოს ფიქსურული კოლექტივის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ფუნქციონირების ახალი ფორმები.

უნდა ვილაპარაკო ისიც, რომ საჭიროა ტანჯვებში, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ჩვენი ერთგვლი თვისებებში გამო, საქართველოში არ დაინერგა. წესდების მანძილზე მისი პოპულარიზაციისთვის გაწეული ხარჯები წყალობაში გადაყრის. ამ გამაჯანსაღებელი ფორმის წინააღმდეგი არა ვარ, როდესაც ლაპარაკია ბელორუსიაზე, რუსეთზე, ბალტიისპირეთზე თუ გერმანიაზე. ჩვენ კი, გამაჯანსაღებელი მუშაობის ფორმები უნდა ავაგოთ მოძრა და ერთგულ თამაშობებზე, იმ ვარჯიშების გამოყენებით, რომლებიც ერის ხასიათია. სხვათა შორის, ერთგულ ტრადიციებს მშვენივრად იყენებენ გამაჯანსაღებელი მუშაობაში აღმოსავლეთის ქვეყნები. ყველაფერს თავისი უნდა მივაგოთ და დროზე ვავაუქმოთ საჭირო ტანჯვების საშტატო ერთეულები (რასაც მრავალი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არცთუ უსაფუძვლოდ აკეთებს), ხოლო ამ ერთეულების ნაცვლად შემოვიღოთ ფიქსურული და სპორტის ორგანიზატორის საშტატო ერთეული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერთგული სპორტის სახეობები და თამაშობები ერის განვითარება და მასთან დამოკიდებულება მკვეთრად უნდა შეიცვალოს. ჯ. სალიაშვილის პოზიციაში აშკარად იგრძნობა „შეგარდენის“ მესვეურთა გავლენა. დაუშვებლად მიმაჩნია საკითხის იმგვარად დაყენება, რომ ერთგული სპორტი დღეს პროფესორების მთავარი საზრუნავი არ არის. საკითხი უნდა დაისვას ისე, რომ სპორტის ერთგული სახეობებისა და თამაშობების აღორძინება-განვითარება მთელი ერის საქმეა, აქ კი პროფესორებმა სასიკეთოდ ავაგარდული როლი უნდა შეასრულონ. მას, რა თქმა უნდა, მხარი უნდა აუბას ყველამ, ვინც ერის მთავალი ადარდებს და თუ ამ მო-

საზრებით არ ვიხელმძღვანელო, ყოველგვარი საუბარი ამ თემაზე წყლის ნაყვად იქნება. ვფიქრობ, „შეგარდენმა“ უნდა გაითვალისწინოს ეს ვარაუდი და თავის სტრუქტურაში შექმნას ცალკე საზოგადოება, რომელიც იტვირთებს ამ მეტად რთული საქმიანობის გაძღვალას.

მართებულად მიმაჩნია ისიც, რომ ფიქსურული კოლექტივი დაკონსტიტუირებული მნიშვნელოვანი ფუნქცია — გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია — სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პროფესორებმა არ იზრუნონ დიდი სპორტის განვითარებისათვის (თუმცა, ამაზე სხვა და მეტად საყურადღებო აზრები არსებობს).

უდავოა ისიც, რომ, პირველ ყოვლისა, სპორტის განვითარებაზე უნდა ზრუნავდნენ რესპუბლიკური სპორტული ორგანიზაციები. ავტორთა ეს გამოთქვები, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ მოწოდებად პროფესიონალობისაკენ, რომელიც სავალდებულოა ნებისმიერ დარგში, და რა თქმა უნდა, სპორტშიც. დასკვნა ერთია: ნებისმიერმა ორგანიზაციამ, ამ შემთხვევაში პროფესორებმა, ან მთლიანად, თანხებთან ერთად, უნდა გადასცეს მონობლია დიდ სპორტზე ამისათვის მოწოდებულ პროფესიულ ორგანიზაციებს — სპორტსაქმისა და ეროვნულ ფედერაციებს სპორტის სახეობების მიხედვით — ან, უკიდურეს შემთხვევაში იმუშაოს მათი უშუალო მითითებებით და რეკომენდაციებით. აქვე მინდა გამოვიტყოს ცენტრალიზმის ყოველგვარი ცდა და მოვეუწოდო ერთგული სპორტის კონსოლიდაციისაკენ. დასასრულად: ჩვენი თამბის წარმომადგენელთა უმრავლესობა მეტნაკლებად დამანაშაველ მიმაჩნია ერის წინაშე. მაშინ, როცა მავანნი შეუპოვრად იბრძოდნენ ჩვენივე უფლებების მოსაპოვებლად, მრავალთათვის უპირველესი საზრუნავი პირადი ექიმდღეობა იყო. მართალია, ახლა ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ სანამ ეს თამბა ერის გასაჭირს არ გაითავისებს, დანაშაულს ვერ გამოისყიდის.

თავისი შეუპოვარი ბრძოლით სრული დამოუკიდებლობისაკენ, კონსტიტუციური უფლებების მოპოვების გზით, პროგრესული აზრის გამარჯვებისაკენ სწრაფვით, საქმის პროფესიული წარმართვით, სპორტული მიღწევებით და ა. შ., საქართველოს ერთგულ სპორტულ მოძრაობას ეროვნულ და ვალდებულია განსაკუთრებული ამაგი დასდოს ერის მიზანსწრაფვის აღსრულებას. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, პროფესორული სპორტის სტრუქტურისა და მართვის სრულყოფილება თავისი აზრი გამოთქვან საქართველოს სპორტულმა ფედერაციებმა და, უპირველეს ყოვლისა, ერთგული სპორტის სახეობების რესპუბლიკურმა ფედერაციამ.

პროფესორული სპორტის ფუნქციების და მეთოდების დახვეწაში, მთლიანად მის საქმიანობაში, მეტად მნიშვნელოვანდ მიმაჩნია ფედერაციების აზრთა გათვალისწინება და ამ საკითხების შესახებ მსჯელობა.

საქართველოს სპორტსაქმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უნდა გამოხატოს თავისი მკაცრი პოზიცია და დამოკიდებულება პროფესორების ფიქსურულ რულ-სპორტულ მოძრაობისადმი. ერთგულ საქმეს საერთო ძალი-სხმევა სჭირდება!

თამაზ ბარამიძე
გთხოვთ, მონარაი გადარიცხოდ მ. კობახიას სახელობის სადგომამდე ფონდში.

ვენოლაში ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრის და ნინო გურგენის ყოფნასაც ვარაუდობდნენ, მაგრამ ეს სამეული ახლა მალაიზიაში გამოდის საზონათშორისო ტურირზე.

ცხადია, ამ ამხანაგურ ტურირზე სრული შემადგენლობით ჩასვლა აჯობებდა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენი გამოსვლა მასპინძელ ქვეყანაში მინც დიდ ინტერესს გამოიწვევს — გვითხრა მია ჩინბურ-დანიმე გამგზავრების წინ.

მართული ზიდაობის სემინარი იაპონიაში

ცნობილი სპეციალისტი ბიძინა მზიანაშვილი ქართულ ჟიდაობაში სემინარის ჩატარებაზე იმეგზავრება იაპონიაში. გარშან მახარებელია, იაპონელთა თხოვნით, ცხრადღიანი შეცადინება მოაწყო თბილისში იაპონელთათვის. ამჯერად ამომავალი მზის ქვეყანაში უფრო ხანგრძლივი და მასშტაბური სემინარია დაგეგმილი. შეერთება ბ. მზიანაშვილი.

როი ახხით იაპონელების ასეთ დინტერესებას ქართული ჟიდაობით?

— იმით, რომ ძიუდოს სამშობლოში ბოლო ხანს დაქვეითდა ამ სახეობის წარმომადგენელთა ოსტატობის დონე. სულში იაპონელებს მხოლოდ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდათ, ისიც მსაჯების წყალობით. 1962 წლიდან, მის შემდეგ, რაც ქართველი ძიუდოისტები საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოდიან, მათი შედეგები და ოსტატობა ყოველთვის სტაბილურია და აღმაშობის გზით მიდის. იაპონელებმა კარგად გააანალიზეს ეს ფაქტი და დასაკვენს, რომ ჩვენების ოსტატობისა და სტაბილურობის საფუძველი სწორედ ქართული ჟიდაობაა. იაპონელები ახლა ქართული ჟიდაობის დახმარებით ცდილობენ გადაარჩინონ ძიუდოს პრესტიჟი თავიანთ ქვეყანაში.

როგორაქ — სინტეზი, გახარია — მაინის

ფრანკფურტში

აქამ, სასტუმრო „სპორტში“ შეგხვდით საქართველოს წყალში მსტრელოთა ცნობილ აღმზრდელს იური გუტიაკულოვს.

— 18 ივლისს მაინის ფრანკფურტში გავაცილე ვინა გახარია. იგი ევროპის ჩემპიონატში გამოვა. — გვითხრა მან.

● როგორც პირადმა მწვრთნელმა, შეგარდი, ალბათ, დიდი იმედით გავცილეთ... — თქვენ იცით, რომ წინასწარი

დაპირებები არ გვჩვენებია. გეტყვით, რომ გონა კარგადაა მომზადებული ამ ჩემპიონატისთვის და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება, გერმანიიდან სასიხარულო ამბავს მივიღებთ.

როდის შეეგვს გამოხვლა ჩვენს სპორტსმენს?

— ოცდაერთ ივლისს.

● ცხადია, გახარია ამიტომ ვერ გასუვეთ, რომ სინტეზი უფრო პრესტიჟულ ამბარბობაზე მიემგზავრებით ჩოგოვადესთან ერთად. — დიას, ეს ასე!

● გვითხარით, რატომ იყო ერთ ხანს ჩოგოვადე ჩრდილოში, შემდეგ კი იხვე გამოიღო ზელი — ჩინეთში მხოლოდ მასპინძლები გაუშვეს წინ და მესამე საპირუო ადგილი დაიკავა, ამას წინათ კი ბრწყინვალედ გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში...

— გიორგის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა — იგი დაოჯახდა და ახლა უკვე სამი თვის გოგონას მამაა. ოჯახურ პირობებებს და საზრუნავს ყოველთვის მიაქვს დიდი სპორტისთვის განკუთვნილი დროის ნაწილი, მაგრამ, საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი რიგზეა.

იმედ უნდა ვიქონიოთ, რომ სინტეზი...

— გიორგი მებრძოლი სპორტსმენია, თქვენ თავად ნახეთ, სინტეზი კი რა მონღოლებით იბრძოდა სეკუნდო ოლიმპიადაზე. შეუპოვარი და ძლიერი ნებისყოფის სპორტსმენები ბელი თითქმის არასდროს დალატობთ.

ნუ დავიფრეხებთ იმხაც, რომ შთელ სახკობთა კავშირში ჩოგოვადე ნომერი პირველი სპორტსმენია კოშკიდან ზტომში.

— დიდ სპორტში ბოლომდე უძლიერესი ისაა, ვინც არა მარტო შინ, არამედ მსოფლიოს რჩულ სპორტსმენებთან პაექრობაში დაამტკიცებს უპირატესობას. სინტეზი გიორგის სწორედ ასეთი გამოცდა ელის. აუი ვთქვით, იგი შეუპოვარი და ძლიერი ნებისყოფის მქონე სპორტსმენია.

ფალაქნები ბარლინში იასპარეზებენ

ეს არის პოპულარული შეჯიბრება „მეგობრობა“, რომლის პროგრამით ამ დღეებში ბერლინში გამართება 1972-73 წლებში დაბალეხულ ძიუდოისტთა პაექრობა. საქართველოდან ბერლინში 3 სპორტსმენი გამოვა — ირაკლი უხნაძე („ლინაო“), ვეფხია ავალიანი („შეგარდენი“) და შალვა ბექაური (ასკ). ჩვენს ბიჭებს მწვრთნელად ვაქა ბალახაშიშვილი ახლავს. ბერლინში საასპარეზოდ საკავშირო ნაკრები 19 ივლისს გაფრინდა.

ჩემპიონობას და საესიკალური პრიზების

კრივი რომ ჰაბუკებს განსაკუთრებით იზიდავს, ამის დადასტურება იყო „შრომითი რეზერვის“ საკავშირო პირველობა, რომელიც ახლახან დასრულდა ზღვისპირა ქალაქ ნოვოროსისკის რინგზე. 1976 წელს დაბადებულ მოზარდათ ამ ტურნირში რესპუბლიკების ნაკრებები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის. სულ სარბილზე გამოვიდა 210 მოკრივე, ასპარეზობაზე სპორტსაზოგადოება „მართვეს“ სპორტსკოლების 21 აღსაზრდელი იცავ-

და საქართველოს ღირსებას. მით შორის ცხრამ ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. კერძოდ, ნოვოროსისკის სარბილზე თავი ისახელეს: 36 კგ. მამუკა გრემიძე (ქუთაისი), 40 — არმენ ალაქაიანი (თბილისი), 42 — ბესიკ აკობაშვილი (თეთრი წყარო), 46 — იზო ამირიანი, 48 — ბორის ალიევი, 52 — ბექა ოდიშელიძე, 58 — ირაკლი ახმედოვი (ყველა—თბილისი), 60 — გიორგი ტლაშაძე (გორი), 90 — აბო თანდაშვილი (სიღნაღი).

განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები ბესიკ აკობაშვილმა, ბექა ოდიშელიძემ და გიორგი ტლაშაძემ, რომლებიც დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით.

„მართვეს“ ნაკრები შეჯიბრებასათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: იოსებ კორძაბია, გენადი აკობაშვილმა, ფიშული ალექსეოვმა და აკაი გუჯაბიძემ.

„ელმავალი“ ახალ გზაზე

თბილისის „ელმავალი“ საკლუბო უნდა. რამდენიმე წლის წინათ ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელი იყო, დღეს კი, დრომ მოიტანა: თუ სპორტში რაიმე წარმატების მიღწევა ან უბრალოდ, ასიერობა ესურს, აუცილებლად მუშაობის საკლუბო სისტემაზე უნდა გადახვიდეთ. ქართველ მორაგბეთათვის ეს პრობლემა ძირითადია, რადგან მათი მდგომარეობა ჩვენს სპორტში განსაკუთრებულია.

რამდენიმე სარაგბო გუნდმა უკვე მიიღო კლუბის სტატუსი. ამ დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის სპეციალური გვირაბის საარაგბო კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია ცნობილია, რომ საქართველოს ჰყავს რაგბის გუნდი — „ელმავალი“, მაგრამ მისთვის საკლუბო სტატუსის მინიჭების საკითხი დღემდე არ დასმულია.

კონფერენციამ სიტყვით გამოცხადებულ მთავარ საკითხს რაგბის დღევანდელი მდგომარეობა, ისაუბრეს „ელმავალის“ პრობლემებზე და დაასაბუთეს კლუბის შექმნის აუ-



ცილებლობა. აღინიშნა, რომ ეს საქმე დიდად წაადგინა საქართველოში რაგბის განვითარებას, ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდას, საქართველოს რაგბის კავშირის დამოუკიდებლობას.

კონფერენციამ მცირეოდენი შეწყობებით დამატრეკა კლუბის წესდება. ამერიკიდან, სარაგბო კლუბი „ელმავალი“ თვითდაფინანსებაზე და თვითმმართველობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი-სპორტული ორგანიზაციაა.

კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე მშენებლობის დარგში — გივი ბალახიძე.

კონფერენციამ ითქვა ისიც, რომ სახელსა და სიმბოლოებზე კლუბი მოგვიანებით იმსჯელებს, პანამდე კი „ელმავალს“ ბევრი საკმა ელის. მორაგბეები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოსა და საკავშირო ჩემპიონატებში და, იმედია, უფრო განამტკიცებენ თავიანთ წარმატებებს.



ლიტვალაჲი ქართული ფეხბურთის შესახებ

საპარტიველოს ეროვნულ ჩემპიონატში ლიტვალაჲი ფეხბურთელები გამოიჩინდნენ. ორი მათგანი — ვიკ გინიჩი და ბალტუშნიკასი — ვაიდას პეტრაუსკასი გალის „მზიურის“ ლირსებას იცავს. მათ ესაუბრა „ლელო“ სოხუმელი კორესპონდენტი **თენგიზ ჰაპაქოია**:



● თუ შეიძლება, გაგვაცანიოთ თქვენი თავი.

3. **ბალტუშნიკასი**: ვარ 23 წლის, ფეხბურთის თამაში ქალაქ პანევეჟისში დაიწყო, საიდანაც პირდაპირ „ქალგირისში“ მიმიწვიეს. გამოვდიოდი ლიტვის ქაბუთა ნაკრებში, ვარ თავდასხმელი. ამ ამპლუის არჩევანი 70-იანი წლებს თბილისის „დინამოს“ წარმატებებმა განაპირობა. 1981 წელს თბილისელთა გუნდს ყველა ლიტველი გულშემატკივრობდა, ჩემი საყვარელი ფეხბურთელებიც დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუტაევი და ალექსანდრე ჩივაძე იყვნენ. ქართველთა ვაზრებულ და ლამაზ თამაშს რომ ვუყუარებდი, ფორვარდობა ვადავწყვიტე. სხვათა შორის, ჩემი მამაც ფეხბურთელი იყო და ტრავმის გამო მიატოვა სპორტი.

3. **პეტრაუსკასი**: დაიბადე 1969 წელს, ალიტუსში. იქვე დაიწყო თამაში ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში, ვარ მცველი. როგორც ყველა ნორჩი ლიტველი ფეხბურთელი, ვინცნებობდი მეთამაშა „ქალგირისში“. ეს წადილი ავისრულდა. ● როგორ მოხვდით გალის „მზიურში“?

3. **ბალტუშნიკასი**: ივნისის შეჯიბრებებში ლიტვაში ჩამოვიდნენ „მზიურის“ კლუბის წარმომადგენლები, რომლებიც შეხვედნენ ჩვენს უფროს მწვრთნელ ბენიამინას ზელკაიჩუსს და სთხოვეს ორი ფეხბურთელი. კერძოდ ვინ, ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. რამდენიმე მატჩის ნახვის შემდეგ არჩევანი ჩვენი შეჩერდა.

3. **პეტრაუსკასი**: ვიცოდით, რომ ჩვენს თანაგუნდელებს, რომლებიც უკვე თამაშობდნენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, კარგად დახვდნენ. ამიტომ უყოყმანოდ მივიღეთ წინადადება.

● რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ გუნდში?

3. **ბალტუშნიკასი**: ვიცოდით, რომ ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ, მიუხედავად ამ ინფორმაციისა და ძველი შთაბეჭდილებებისა, ასეთ გულისხმიარებას არ ველოდი. აქ ჩემს ძველ ნაცნობს, მეკარე მაქსარაშვილს შევხვდი, რომელიც ერთ-ერთ ქაბუთა ტურნირზე საქართველოს ნაკრების კარს იცავდა.

ჭერჭერობით წლის ბოლომდე ვითამაშებთ, შემდეგ ყველანი ვილნისში შევიკრიბებით და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით დავგეგმავთ მომავალს.

3. **პეტრაუსკასი**: დაოჯახებული არა ვარ, ვირგინიუსი კი უკვე მამაა, ორი წლის გოგონა ჰყავს, მალე მისი მეუღლე და ბავშვიც ჩამოვლენ გალში და აქ დარჩებიან წლის ბოლომდე.

● თქვენი აზრი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თამაშების დონეზე?

3. **ბალტუშნიკასი**: თქვენთან ფე-



ვაიდას პეტრაუსკასი (მარცხნივ) და ვიკ გინიუს ბალტუშნიკასი. შუქრი ღებუაძის ფოტო.

ხბურთელთა თამაშის საერთო დონე მაღალია, გაყავთ რამდენიმე ძლიერი გუნდი, რომლებთან კვილიშიც, ვეფეროზ, კლასი ამაღლდება. თითქმის ყველა შეხვედრა უყოპრობის ბრძოლაში მიმდინარეობს. ქართული ხელწერა კვლავ ეტყობა თქვენს თამაშს. სასიამოვნოა, რომ რაიონებში თამაშებს ბევრი მაყურებელი ესწრება.

3. **პეტრაუსკასი**: ჩვენზე ბალტიისპირეთის ლეგის ჩემპიონატის მატჩებს ძალიან მცირე მაყუ-

რებელი ჰყავს, აქ კი, გალში, ტრენებელი საესეა. კმაყოფილი ვარ, რომ ვთამაშობ ჩემპიონატში, სადაც გამოდიან საინტერესო გუნდები და ფეხბურთელები. რასაკვირველია, ყველა თამაში მაღალ დონეზე ვერ ჩატარდება, მაგრამ საერთო ჯამში მე მომწონს თქვენი ფეხბურთელები.

3. **ბალტუშნიკასი**: ვუსურვებ ქართულ და ლიტვურ ფეხბურთს, მალე გასულიყვენ საერთაშორისო საბიუჯეტო.

ბალტიის ჩემპიონატი

ბალტიის ჩემპიონატის ცხრილი, რომელიც მოიცავს გალში ბალტიის საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილს, რომელიც ირგვლია ქურნალისტმა ივარ ბრივიჩისმა გამოგვიგზავნა. ჩვენ დაუყოვნებლივ მას და შევთანხმდით მომავალ ურთიერთთანამშრომლობაზე. და აი, ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციამ მოვიდა ი. ბრივიჩისის წერილი, სადაც მოყვანილია ბალტიის ჩემპიონატის ცხრილი გათამაშების პირველი წრის მიწურულს. გათავაზობთ ამ ცხრილს და ვიმედოვნებთ, მომავალში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ამ ჩემპიონატის შესახებ.

ბალტიის ჩემპიონატის ცხრილი
მდგომარეობა 26 ივნისისთვის

	მ.	მ.	ფ.	გ.	ბ.	ქ.
1. „ქალგირისი“ (ვაილინი)	13	12	1	0	52-5	25
2. „ინკარასი“ (კაუნასი)	16	11	2	3	33-10	24
3. „სირიუსი“ (კლაიპედა)	16	9	5	2	19-9	28
4. „იოვარასი“ (მაუეიკი)	16	9	4	3	24-16	22
5. რაფ (იელგავა)	16	8	6	2	25-15	22
6. „ეკრანასი“ (ჰანევეიხი)	15	9	3	8	81-11	21
7. „პროგრესი“ (ჩერნიახოვსკი)	15	9	0	6	18-15	15
8. „საკალასი“ (შიაულიაი)	15	7	4	4	25-14	18
9. „ბანგა“ (კაუნასი)	15	6	6	3	23-18	18
10. „ცილნიეისი“ (დაუგავილი)	16	6	2	8	11-19	14
11. „სპორტი“ (ტალინი)	15	4	5	6	20-22	18
12. „ტორპედო“ (რიგა)	16	4	5	7	19-25	18
13. „ნერისი“ (ვილინი)	15	4	4	7	17-24	12
14. „პარდაუგავა“ (რიგა)	16	3	8	10	8-25	9
15. „სლუვა“ (მარიამპოლი)	15	3	2	10	7-27	8
16. „სტუდენტი“ (რიგა)	15	1	6	8	6-27	8
17. „ეესტი ფოსფორტი“ (ტალინი)	14	1	1	12	8-25	3
18. „მეტალურგია“ (ლიეპაია)	15	1	1	13	5-49	3

საპასუხოდ, „ლელო“ რედაქციამ გაგზავნა ანალოგიური მასალა რიგაში, რომელიც იქაურ პრესაში გამოქვეყნდა, რადგანაც ინტერესი საქართველოში ეროვნული ჩემპიონატისადმი ბალტიისპირეთის ქვეყნებში დიდია.



ჩემპიონატის შემდეგ გოლი

გთავაზობთ მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ვეველი გოლის ავტორთა ვინაობას. სულ XIV მსოფლიო ჩემპიონატის 52 მატჩში გაიტანეს 115 ბურთი, ეს ყოველ თამაშში საშუალოდ 2,21 გოლს უდრის და ამ მაჩვენებლით წლავანდელი ჩემპიონატი ყველა სხვა ადრინდელზე დაბლა დგას.

ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა სალვატორე სკოლიამ — 6.

5 ბურთი გაიტანა ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების თავდამსხმელმა ტომას სკუხრავიმ.

4-4 ბურთი გაიტანეს: მიჩელმა (ესპანეთი), მილამ (კამერუნი), მათეუსმა (გერ), ლინეკერმა (ინგლისი).

3-3 — ფილორმა (გერ), კლინსმანმა (გერ), ბრემემ (გერ), პლატმა (ინგლისი).

2-2 — ბილემმა (ჩეხეთ-სლოვაკეთი), კარეკამ (ბრაზილია), მიულერიმა (ბრაზილია), იოზინმა (იუგოსლავია), პანჩევმა (იუგოსლავია), სტოიკოვიჩმა (იუგოსლავია), ლეკეტუშმა (რუმინეთი), ბალიტმა (რუ-



ა. გიშოვიანი-ნაპრკის პოპარი პერტონელო

17 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს სხდომა, რომელმაც ფედერაციის აღმასკომს წარუდგინა თვის დასკვნა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახალი სპეციალისტის დანიშნვის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი პ. სალირინმა უარი განაცხადა ამ პოსტის დაკავებაზე, დარჩა ორი კანდიდატი — ა. ბიშოვეცი („დინამო“, მოსკოვი) და ე. კუჩერევიკი („დინამო“, დნეპროპეტროვსკი). მწვრთნელთა საბჭომ, რომლის შემადგენლობაში საბჭოთა ფეხბურთის უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის მთავარი მწვრთნელიც შედიან, მოაწყო კენჭისყრა. 11 კენჭი მხარს უჭერდა ე. კუჩერევიკს, 9 კენჭი — ა. ბიშოვეცი, ოთხმა თავი შეიკავა.

სსრ კავშირის თასი

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეოთხესემეტედიანი საპასუხო შეხვედრები. მოსკოვის ტორპედოელებმა უმა-

უნდა გამოეტანა ფარული კენჭისყრით, ამასთან, მთავარი მწვრთნელის პოსტის დასაკავებლად საკმარისი იყო, კანდიდატს თუნდაც ერთი ხმით მეტი მიეღო.

18 ივლისს აღმასკომის წინაშე თავიანთი პროგრამით გამოვიდნენ პრეტენდენტები. ე. კუჩერევიკიმ განაცხადა, რომ ნაკრები უნდა შეიქმნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში, ვინაიდან ორ თვეში იწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, გუნდმა უნდა ითამაშოს სანახაობრივად ლამაზად და, ამავე დროს, შედეგადაც. რაც შეეხება ა. ბიშოვეცი, მისი აზრით, ახლა საჭიროა ნაკრების მომზადება კონკრეტულად ევროპის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩისთვის, გარდა ამისა, უნდა გამოიმუშონ ახალი გზები და საშუალებანი ახალგაზრდა ფეხბურთელთა დაწინაურებისა და სპორტული სრულყოფისთვის. ა. ბიშოვეციის აზრით, საჭირო არაა რაიმე ახალი გუნდის შექმნა. იგი აპირებს ზოლიანად შეინარჩუნოს ის გუნდი და ხელმძღვანელობა,

რომელიც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ფარული კენჭისყრით ა. ბიშოვეცი ე. კუჩერევიკისთან შედარებით მეტი ხმა მიიღო, იგი არჩეულია საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად, მოსკოვის „დინამოში“ აღარ იმუშავენ.

სსრ კავშირის ადმსაზრებულო მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცი 44 წლისაა, იგი კიეველია, გამოდიოდა იქაურ „დინამოში“, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. მონაწილეობდა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. მწვრთნელის პოსტზე მისი საუკეთესო მიღწევაა პირველი ადგილი სეულის ოლიმპიურ თამაშებზე.

რამი უპირატესობა დინამოელებს ჰქონდათ — 4:0 (პირველი მატჩი — 1:0).

„ტორპედო“ და „დინამო“ გავიდნენ სსრ კავშირის თასის ფინალში შეხვედრის შემდეგ.



● **დრეჟანის** „დინამოს“ 24 წლის თავდამსხმელი ულფ კირსტენი გერ-ს „ლუვერკლენში“ გადავიდა. „ფეხბურთის“ მოთამაშეები ტრამის დროს და ფრანკ როდერ „ჰამბურგის“ ლირსებას დაიცავენ.

● **კოლუმბიის** ნაკრებისა და მედლისის „ნასიონალი“ თავდამსხმელი პალომე უსურიაგა ერთი თვის წინ ესპანეთის „მალაგაში“ მიიწვიდა. უსურიაგამ სამ თამაშში 4 გოლი გაიტანა და მიუტოვებელია სიმპათიური დამსახურება ახლანდელ გამოცხადება, რომ „მალაგაში“ იფიციალური „ზრახტი“ გააფორმა კოლუმბიელ ა.

● **ინგლისში** დაიწყო ახალი კონტრაქტების ვაფორმება. „ლივერპულმა“ გადაწყვიტა ბელგის „სტანდარდს“ გადაუხადოს 2 მილიონი დოლარი ისრაელის ნაკრების ფორვარდ რონი როზენტალში. ეს უკანასკნელი სეზონის ბოლოს უკვე გამოდიოდა „ლივერპულში“ და შვიდ მატჩში 8 გოლი გაიტანა.

● **ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი მეკარე ემერსონ ლეაო დაინიშნა „პორტუგესას“ მწვრთნელად. მისი თანაგუნდელი მირინიო პერეის კი „სან ბენტუში“ ცდის ძალებს.

● **ფლავანელი** წარუმატებელი სეზონის შემდეგ შეიცვალა „რომას“ ხელმძღვანელობა. ჯიჩი რადიჩეს ადგილი ოტავიო ბიანკი დაიკავა. ეს სწორედ ის ბიანკია, რომელმაც „ნაპოლი“ იტალიის ჩემპიონი გახადა, შემდეგ უფროს თასიც მოიგო, მაგრამ მოთამაშეებთან კონფლიქტის გამო წააგდო ნეაპოლიდან. „რომაში“ მოსვლისთანავე ბიანკიმ გადმოიყვანა თავდამსხმელი ანდრეა კარნეოლე („ნაპოლი“), კელი კარბინი („სამპდორია“).

თუ ნებს დავისაკვირ...

შეხვედრა, 19 ივლისი. (ბ. შაბაგვი, ხაქედის კორ.) პამირის მთებში 40-ზე მეტი ალპინისტის ტრავიკულად დაღუპვამ, რომელთა შორის იყო ორი ქვეყნელი, შვეიცარიის ალპური კლუბის წევრები მარკ და ფილიპ შერერები, ქვეყნებში გამოიწვია არა მხოლოდ მწუხარება და დალოულობა ოჯახებისადმი თანაგრძობა, არამედ მრავალი შეკითხვა წარმოიშვა. ფართო საზოგადოებრიობა და სპეციალისტების შეკითხვები არიან კატასტროფის ვასტაბუდით, ადრე-ადრე დადგინების სიცოცხლე ერთად რომ შეიქცია. მსოფლიო, ალპინიზმის ისტორიას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

შვეიცარიული სპეციალისტები არაფერს ამბობენ მთამსვლელობის საბუთის სპეციალისტების გამოცდილებაზე, მაგრამ აღნიშნავენ, რომ მთები მთებია და ყველას ვინც გადაწყვეტს უხუნდად არცთუ რთულ მწვერვალზე ასვლას, ისეთებზე, როგორც პამირის „შვიდიათასიანებია“, წინ მრავალი მოულოდნელობა ელოდება. სწორედ ამიტომ მათ გაცვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ საბაზო ბანაკში, რომელიც 5300 მეტრის სიმაღლეზე იმყოფება, ნებადართულია ლენინის პიკე ასასვლელად მოწოდებული ალპინისტების ასეთი დიდი რაოდენობით თავმოყრა.

ამსვლელობა ჯგუფის ჩვეულებრივი შემადგენლობა, როგორც ამას შვეიცარიული ალპური კლუბის ინსტრუქტორი ლომინიკ ნეიენშანდერი ამტკიცებს, 12 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. ეს მინიმუმადე ამტკიცებს დასაშვებ რისკს და მნიშვნელოვნად აადვილებს მამველ ოპერაციებს, თუ ამის საჭიროება წარმოიშვა. ეს, რა თქმა უნდა, პამირის ასვლების მომწყობებშიც იციან, მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო, ეს ასვლები ნებადართულია წელიწადში მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში და რადგანაც მსურველთა რაოდენობა ძალზე დიდია, ხდება ალპური

ბანაკების დასაშვებ ზომებზე მეტად შევსება, „იბერება“ გუნდების შემადგენლობა.

ისევე, როგორც ბევრ სხვა მის კოლეგას, ლომინიკ ნეიენშანდერს არაფერი არ აჩუბუნებს სსრ კავშირის სპორტსაკომის წარმომადგენლების მიერ მოყვანილი საბუთები იმის თაობაზე, რომ ბანაკი, სადაც ტრავმები მოხდა, უკვე რამდენიმე ათეული წელია მოქმედებს და არავითარი სერიოზული საგანგებო შემთხვევა იქ ჯერ არ მომხდარა. მარკ და ფილიპ შერერების შვეიცარიული კოლეგები და მეგობრები თვლიან, რომ აღრე თუ გვიან ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო, მათი გამოცდილება კი ექვს არ იწვევს.

სამწუხაროა ისიც, რომ ტრავმების შემდეგ უკვე რამდენიმე

დღეა გასული, მაგრამ ჯერ არაფერი იცის გარკვევით, თუ როგორ მოხდა ყველაფერი. მხოლოდ შვეიცარიული გუნდის ხელმძღვანელმა კრისტინა ზაუბერ-მოხორინის ვაიფელოფთან შეხვედრაში თქვის საბუთი დაურეკა, რათა შეეტყობინებინა, რომ ის და მისი ცხრა აზნაბი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან. ვარდა ამისა, მან ისიც შეატყობინა ოჯახს, რომ გზად მიმავალმა იმ ქალაქში, საიდანაც იგი რეკავდა, ნახა ტანკები და გაიგონა სროლის ხმა — რაიონი ერთაშორისი კონფლიქტით არის მოცული. აქედან გამომდინარე, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: არის კი ასეთ დროს გამართლებული მთელი კავშირისა და უტყობის მრავალი ქვეყნის ალპინისტები: მოწვევა-მასობრივ შეკრებებზე?

ბრძოლას ოთხი გუნდი ბანაბრძობს

კაპალა-ლაგაური. საბუთის კავშირის კალათბურთულ ქალთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ვერ გავიდა — დამარცხდა იუგოსლავიის გუნდთან — 63:64 (38:36). ამ ჯგუფიდან იუგოსლავიელებთან ერთად ბრძოლას გააგრძელებს ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრები, რომელმაც მეოთხედფინალში ავსტრალიელებს აჯობა — 83:54 (42:33).

მეორე ჯგუფში წარმატებას მიაღწიეს აშშ-სა და კუბის გუნდებმა. პირველმა დაამარცხა ბულგარეთის გუნდი — 93:72 (52:38), მეორემ — კანადის ნაკრები — 75:69 (33:36). ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზებს გაითამაშებენ: იუგოსლავიელი, ჩეხეთ-სლოვაკიელი, ამერიკელი და კუბელი კალათბურთელები.

მისაბაძი გაბაღითი


პროფესიული სპორტსმენები კარიერის დასრულების შემდეგ თავიანთ კაპიტალს სხვადასხვაგვარად იყენებენ. გზა, რომელიც სამხრეთ-აფრიკელმა გერმანელმა აირიხი, უთუოდ მისასალმებელია. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლფისტი იყო წლების მანძილზე, ოთხჯერ ფლობდა ჩემპიონის ტიტულს, მოგებულა აქვს უამრავი საერთაშორისო ტურნირი და პრიზი. სპორტდანი რომ წავიდა, პლეიერმა საკუთარი ფონდი დააარსა, რომლის მიზანია შვეიცარიის დასავლეთის საშუალო სკოლების მშენებლობა.

ერთ-ერთი ასეთი სკოლა უკვე გაიხსნა პლეიერის ფერმისთან ახლოს, იოჰანესბურგში. სახეიმი ცერემონიაზე ყოფილმა სპორტსმენმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელიც პროფესიულმა პრესამ მაშინვე აიტაცა: „ძირს თეთრკანიანთა ბატონობა, ძირს შვეიცარიის პრეტენზიები, ჩვენ სამუდამოდ უნდა დავიფიქროთ აპართაიდი და ერთად ივამეოთ ახალი, ერთიანი სამხრეთ აფრიკა“.

პლეიერმა კეთილი საქმე წამოიწყო, ვინაიდან სამხრეთ აფრიკაში განათლების სისტემა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სერუგაციის ათწლეულებმა თურთ და შვეიცარიანთა განათლების დიდი მკვეთრად დააზიარა ერთმანეთს. ახლა მათ შორის ვეებერთელა ხრამია, რომლის ამოვსებამაც ცდილობს ყოფილი ჩემპიონი.

თუ სამხრეთაფრიკელებს თანასწორუფლებიანი და სამართლიანი საზოგადოების შექმნის სურვილი აქვთ, სიტუაცია ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. — ამბობს იგი, — მე სოფლის სკოლების მშენებლობით ვიწყებ საქმეს, სხვებმა სხვა დარგებს მიხედონ“.

გერმანული პლეიერის თაოსნობას უკვე გამოეხმაურნენ სხვა პროფესიონალი სპორტსმენებიც.



გოლო სინფრაზაზე...

კალენდოსკოპი

წარმოაჩინა ჩოგბურთის და სამოთხლო

სპორტში მოპოვებული წარმატებებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშიმ ფლო პიუმენის პრემია გადასცა ოცდაათობეტი წლის ჩოგბურთის ვარსკვლავს კრის ევერტს. პრემია, რომელიც 1986 წელს მოულოდნელად გარდაცვლილი სახელგანთქმული ფრენბურთელი ქალის სახელს ატარებს, კრის ევერტს ქალთა ფონდმა მიუკუთვნა.

დაჯილდოების დროს ბუშიმ აღნიშნა, რომ ევერტმა არა მარტო ჩოგბურთი, არამედ თვისი ქვეყანაც წარმოაჩინა და ამას შესანიშნავად, გრაციოზულად, საკუთარი ღირსების შეგრძნებით, ნამდვილი სპორტული სულისკვეთებით აკეთებდა.

თავის მხრივ, „დიდი ჩაფხუტის“ მრავალჯერ გამარჯვებულმა ისარგებლა დაჯილდოების ცერემონიალით და მოწოდებით მიმართა პრეზიდენტს ამერიკის სკოლებში ფეხბურთის აღზრდის კიდევ უფრო გაუმჯობესების შესახებ.

ევერტს ჯერ არ დაუსრულებია დიდი სპორტში მოღვაწეობა, თუმცა კორტზე სულ უფრო იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. ძველებურად, მისი მთავარი მწვერთელი და მრჩეველი მამაა, რომელიც ნიუიორი და იმედის მომცემი ნორჩი ჩოგბურთელების სკოლის მფლობელი გახლავთ. სპორტის სამყაროში ცნობილი პიროვნებაა კრისის მეორე ქმარიც, წარსულში სხეულგანთქმული სამთო-მოთხლამურე ენდი მილი.

დავა გრძელდება

სასამართლო საქმე შვედური ჩოგბურთის ვარსკვლავს, უიმბლდონის ტურნირის ხუთჯერ გამარჯვებულ ბიორნ ბორგსა და ვაზეთ „ზეტ“-ს შორის, რომელმაც სპორტსმენს ბრაბო დასდო ნარკოტიკების ხმარებაში, დასრულების ხაცვლად კიდევ უფრო გამწვავდა და კვლავაც პრესის ყურადღების ცენტრშია. არც ერთი მხარე არ აპირებს დათმობას. ვაზეთმა ისევ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის 75 ათასი შვედური კრონის (12,5 ათასი დოლარი) გადახდევინების შესახებ.

ტურნირისტიებისათვის მიცემულ ინტერვიუში ვაზეთ „ზეტ“-ის მთავარმა რედაქტორმა თქვა, რომ არ შეიძლება ვაზეთს დაბრალდეს კიონის წამება მანამ, სანამ სასამართლოს არ ექნება საკმარისი მასალები დასაბუთებლად. სასამართლო კი ამტკიცებს, რომ ბორგის ყოფილი მეგობარი ქალის იანიკ ბიორლინის მიერ ვაზეთში გამოქვეყნებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ექსპერიმენტი რამდენიმე წლის განმავლობაში ღებულობდა კოკაინს, არ შეიძლება ჩათვალოს სერიოზულ არგუმენტად. ამასთან, როგორც გამოცხადდა, ამ ინტერვიუსათვის ბიორლინის განცხადება 40 ათასი კრონი (6,5 ათასი დოლარი) გადაუხადა. ამის გარდა — ამტკიცებს ვაზეთის კორესპონდენტი — არის კიდევ ერთი პიკანტური დეტალი: ბორგი და ბიორლინი დიდი ხანია დაობენ თავიანთ ვაქცივლად რომინზე...

მელენსანთა კალენდარი

შეჯიჯრება მძლეოსნობაში მსოფლიოს თასზე ჩატარდება 1993

წელს ჰავანაში ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა შტუტგარტში გამართულ სხდომაზე. თავისუფლების კონძიუსი დედაქალაქს უპირატესობა მიანიჭეს ტურნირის ჩატარების მსურველ სამ სხვა ქალაქთან — ათენთან, სინგაპურთან და პირმინჰემთან — შედარებით.

აღმსკომმა დასახელა სხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებების ჩატარების ადგილებიც: ოუნიორბის მსოფლიო ჩემპიონატი 1992 წელს უმასპინძლებს სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული. მარათონით განთქმული აშშ-ის ქალაქი ბოსტონი 1992 წელს მიიღებს ამ სახეობის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს.

გამოცხადდა საკვალიფიკაციო ნორმატივები იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიოს მესამე ჩემპიონატში (გამართება ტოკიოში) მონაწილეობაზე. კვალიფიკაციების შესრულების ვადა დაიწყო წლებულს 1 მაისიდან და გაგრძელდება მომავალი წლის 10 აგვისტომდე. 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან შტუტგარტი და გეტბორგი (შვეიცა). გამარჯვებულს დასახელებენ გაისად ტოკიოში გამართულ ფედერაციის კონგრესზე.

საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შედის ნამიბიის მოყვარულ მძლეოსანთა კავშირი. თუ ტოკიოში გამართული კონგრესი ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მამინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებულ ქვეყანათა რიცხვი 185-ს მიიღწევს და იგი ყველაზე მრავალწევრიანი ფედერაცია იქნება მსოფლიოში.

მაიამადა ბელა ჯილაზრება

სამოგებრო რეპორაჟი

28 წლის შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა მარკანდრე კაბტმა, რომელიც ქალაქ ნევშატელში ცხოვრობს, თამაშის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 20 საათის განმავლობაში ცამეტი მეტოქე გამოიცვალა, 277 პარტია ჩაატარა და 140 მოიგო. კაბტი კორტზე გამოვიდა შაბათს, 14 საათსა და 30 წუთზე, მარათონული მატჩი კი კვირას, დილის 10 საათსა და 30 წუთზე დაამთავრა.

გინესის რეკორდების წიგნში მონახველად ერთი აუცილებელი პირობის დაცვა იყო საჭირო. ყოველი საათის შემდეგ კაბტს შეეძლო დაესვენა მხოლოდ ხუთ წუთს. დებულების ეს პუნქტი მან მტკიცედ დაიცვა.

ახალი რეკორდსმენი ფიზიკურად ძლიერია (სიმაღლე — 190 სანტიმეტრი, წონა — 93 კილოგრამი) და დაღლის არ ეშინოდა. მაგრამ გამთენიის ხანს, სამიდან ოთხ საათამდე, სხეულში საშინელი სიმძიმე იგრძნო. ამ დროს იგი ძლივს დალასახებდა მოედანზე. კიდევ კარგი, რომ მალე მეორე სუნთქვა გაეხსნა და ჩვეული ძალით ათამაშდა. რეკორდის დამყარებულს, — განაცხადა მარათონული მატჩის შემდეგ კაბტმა, — ყველაზე უფრო მეტად მეგობრები დამეხმარნენ, რომლებიც არ წასულან შინ და დამე ჩემთან ერთად გაატარეს. 20 საათის განმავლობაში სპორტსმენმა 10 ლიტრი სითხე მიიღო.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სპორტულ ინვენტარს „აიდაისისა“ და „პუმას“ ფირმები ამზადებენ. ამ ბოლო დროს მათ არც „სტენ სმიითა“ ჩამორჩება, რომელიც განსაკუთრებით დახვეწილად ჩოგბურთის ფეხსაცმლების დამზადებაში. თავის დროზე სტენ სმიითი საკმაოდ ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ვასლდათ, რომელსაც უიმბლდონის ტურნირი კი აქვს მოგებული. მერე, როცა სპორტსმენი თავი მიანება, სმიითს სპორტული ინვენტარის წარმოება დაიწყო და აქაც გაითქვა სახელი. „სტენ სმიითს“ ფირმა დაიდან დაფუძნებისა, 21 მილიონი წყვილი საჩოგბურთო ფეხსაცმელი აქვს დამზადებული.

სპეციალისტების აზრით, ფორმის მიერ გამოშვებული 40 ნომერი ფეხსაცმელი ერთ მწკრივად რომ დალაგოთ, პარიზს პეკინთან დააკავშირებს.

ფრანგმა ჩოგბურთელმა ანრი ლეკონტმა ზედინედ მეორე საბუთო ჩოგბურთელი გამოთქვა შტუტგარტში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებულან. მან ჯერ მოსკოველი ანდრე ჩენსოკოვი დაამარცხა მესამე რაუნდში (7:5, 6:3), მეორე რაუნდში კი უფელ ანდრე ჩენსოკოვსაც მოუგო — 4:6, 6:4, 6:4

რედაქტორის მაგიერ
თ. მიხრაიული

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისათვის — 280008, თბილისი, შ. კოსტავას ქ. 14, დებუქმისათვის — თბილისი, „ლელო“.	ჩაღმდების ბალეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, ხამდენო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერაიანი“ — 93-97-28, „მარტვი“ — 93-97-27.	83060 06დანი: 66435
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------

საქართველოს კვ. ც. -ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი ხტამა. 280008, თბილისი, შ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოცნეტური წიხით ხაგაზეთო კორპუსში: ხაშარაულის, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უგ 08 779